30.ივლისი 2025

სპორტული საბჭოს ოქმი # 11

შემადგენლობა:

ალექსანდრე ლომაძე, მევლუდ მელაძე, ოთარ თავართქილაძე, ირაკლი კუხიანიძე, შოთა მამრიკიშვილი, დათო ნებიერიძე, მანუჩარ ომანაძე.

ფაქტი:

2025 წლის 18 ივლისს, პარასკევს, დრიფტში საქართველოს ჩემპიონატის მესამე ეტაპის საკვალიფიკაციო დღეს მოხდა შელაპარაკება რბოლის ხელმძღვანელ ლაშა ჭანტურიასა და მრბოლელ შალვა აჯიაშვილს შორის. საქმის შესწავლის შემდეგ დადგინდა:
ზემოთხსენებულ დაპირისპირება დაიწყო იმით, რომ შეჯიბრამდე რამოდენიმე დღით ადრე შალვა აჯიაშვილს დაუზიანდა ავტომობილის ძრავა. მან მოითხოვა გამოეყენებინა დრიფტის ჩემპიონატის რეგლამენტით მინიჭებული უფლება რბოლაში ჩართულიყო მოგვიანებით, საკვალიფიკაციო გარბენის გარეშე, ან 0 ქულით გადაეყვანათ მომდევნო ეტაპზე, რაზეც რბოლის ხელმძღვანელისგან მიიღო უარი. შემდეგ მან სცადა გამოეყენებინა ასევე რეგლამენტით მინიჭებული უფლება და კვალიფიკაციაზე ეასპარეზა სათადარიგო ავტომობილით, რაზეც ასევე მიიღო უარი, ვინაიდან არსებული ავტომობილით მონაწილეობას იღებდა სხვა მრბოლელიც. საბოლოოდ მან სთხოვა რბოლის ხელმძღვანელს ეპოვათ რაიმე გამოსავალი, რაზეც მიიღო უკმეხი უარი და ამით უკმაყოფილომ, აუგად მოიხსენია მიმდინარე ჩემპიონატი, რამაც ფაქტიურად გაამწვავა უკვე დაძაბული სიტუაცია. ლაშა ჭანტურიას განმარტებით, აღნიშნული მან მიიღო როგორც პირად, ისე ორგანიზატორების შეურაცხყოფად, რასაც მოყვა მისი გაღიზიანება და პროცესი გადაიზარდა ხმამაღალ დაპირისპირებაში, რომელიც დასრულდა ლაშას მხრიდან უცენზურო სიტყვების გამოყენებით.

სპორტული საბჭოს გადაწყვეტილება:
ლაშა ჭანტურია რეგლამენტის დარღვევისა და ჩადენილი არასპორტული საქციელის გამო დისკვალიფიცირებული იქნეს საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის 2025 წლის კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებებიდან და ჩამოერთვას უფლება რაიმე სახით წარმოადგენდეს ზემოთხსენებულ ფედერაციას 2026 წლის პირველ იანვრამდე.
შალვა აჯიაშვილს მიეცეს გაფრთხილება და მითითება, მომავალში საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის ნებისმიერ ღონისძიებაზე რაიმე სახის გაურკვევლობის არსებობის შემთხვევაში, არ ჩაერთოს არანაირი სახის კამათში ან/და არ გამოიწვიოს სიტუაციის დაძაბულობა და დაუყოვნებლივ მიმართოს შეჯიბრზე წარმოდგენილ ფედერაციას ოფიციალურ პირებს პრობლემის მოსაგვარებლად.